



**შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯი“  
საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის  
წესი**



## **მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

- 1.1. წინამდებარე საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში (შემდგომში - კოლეჯი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიას, რომელიც უზრუნველყოფს კოლეჯის მიზნებისა და იდეების კომუნიკაციას საზოგადოებაში.
- 1.2. კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობებს წარმართავს და მასზე პასუხისმგებელია საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი.
- 1.3. კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კოლეჯის დებულებითა და წინამდებარე წესით.

## **მუხლი 2. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის პოლიტიკის ძირითადი მიზნები**

- 2.1. საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის პრაქტიკა ეხმარება კოლეჯს საზოგადოებასთან ეფექტური ურთიერთობების დამყარებას, ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაში. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ზრუნავს კოლეჯის რეპუტაციასა და მისი იმიჯის აღქმაზე საზოგადოებაში, ქმნის კეთილგანწყობილ, პოზიტიურ სივრცეს, რომელშიც კომუნიკაციაში ჩართული მხარეები კარგად გრძობენ თავს.
- 2.2. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური იყენებს მართვის რამდენიმე ეტაპს. ეს ეტაპებია:
  - ✓ ანალიზი;
  - ✓ დაგეგმვა;
  - ✓ განხორციელება;
  - ✓ შეფასება.
- 2.3. კოლეჯს შემუშავებული აქვს ხედვა, მისია, ღირებულებები და სტრატეგიული გეგმა, რომელზეც დაფუძნებულია კოლეჯი და რომელიც გამოხატავს მის წარსულს, აწმყოსა და მომავალს. საზოგადოებასთან ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები აღნიშნული სტრატეგიული გეგმის შემადგენელი ნაწილია და გამოხატავს მის მიზნებს, მისიას, ღირებულებებს, კორპორაციულ კულტურას და აგრძელებს კოლეჯის სტრატეგიულ კურსს.
- 2.4. კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის მისია მდგომარეობს კოლეჯის ფართო ცნობადობის უზრუნველყოფასა და მის მიმართ ნდობის ფორმირებაში, რისთვისაც საჭიროა:
  - ✓ სანდო ინფორმაციის მიღება-გავრცელების უზრუნველყოფა;
  - ✓ ახალი ურთიერთობების დამყარება და საზოგადოებასთან უშუალო კონტაქტი;
  - ✓ ჩართულობა.
- 2.5. კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის მიზნებია:
  - ✓ საზოგადოებაში კოლეჯის ცნობადობის ხარისხის ამაღლება;
  - ✓ კოლეჯში მიმდინარე და დაგეგმილი მნიშვნელოვანი ღონისძიებების, პროგრამებისა და პროექტების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდა.
  - ✓ კოლეჯის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სტრატეგიის პროცესების შიდა მართვა;

- ✓ კოლეჯის საქმიანობის პოპულარიზაცია;
- ✓ პროფორიენტაციის კამპანიის წარმართვა;
- ✓ ადეკვატური სარეკლამო და საინფორმაციო კამპატიენიების წარმოება როგორც პირდაპირი გზით, ასევე სოციალური ქსელის მეშვეობით;
- ✓ სანდო საინფორმაციო და სარეკლამო მასალების მომზადება და გავრცელება როგორც პირდაპირი გზით, ასევე სოციალური ქსელის მეშვეობით;
- ✓ ახალი ლოკალური და საერთაშორისო ურთიერთობების დამყარება;
- ✓ მიზნობრივი შეხვედრების გამართვა ცნობადობის ამაღლების მიზნით;
- ✓ ინტერნეტ უკუკავშირის მექანიზმების გაძლიერება;
- ✓ უწყვეტი კომუნიკაცია და ინტერესებულ პირებთან;
- ✓ კომუნიკაციის წყაროების გაუმჯობესება და სამიზნე ჯგუფზე მორგება.

2.6. კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი წინამდებარე მუხლის 2.5. პუნქტით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისად შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას კოლეჯის პერსონალსა და სამიზნე აუდიტორიასთან აქტიური კომუნიკაციისა და მათთან უკუკავშირის შედეგების ანალიზის შესწავლის საფუძველზე.

2.7. წინამდებარე მუხლის 2.6. პუნქტით გათვალისწინებული სამოქმედო გეგმა არის მუდმივად განახლებადი და განვითარებადი დოკუმენტი, რომელიც დეტალურად აღწერს საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით განსახორციელებელ ღონისძიებებსა და მათ მოსალოდნელ შედეგებს.

2.8. კოლეჯს აქვს საკუთარი ვებგვერდი და ფეისბუქგვერდი, რომელთა მეშვეობითაც გამოქვეყნებული უნდა იქნას ყველა ის სიახლე, რომლებიც აწოდებს სანდო ინფორმაციას საზოგადოებას და კოლეჯს უწყვეს პოპულარიზაციას. სიახლეს შეიძლება ჰქონდეს როგორც წერილობითი, ასევე პოსტერის ან ვიდეოს ფორმა. აღნიშნულ სიახლეებს ძირითადად წარმოადგენს:

- ✓ კოლეჯში განხორციელებული შიდა ცვლილებები;
- ✓ სტუდენტური აქტივობები;
- ✓ კოლეჯი- სოციალური პასუხისმგებლობისთვის;
- ✓ დასაქმება - სწავლების შესაძლებლობები;
- ✓ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა რეგისტრაცია-განაცხადების მიღების გამოცხადება;
- ✓ მნიშვნელოვან აქტივობათა და ანონსება;
- ✓ ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორულ ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები;
- ✓ საქველმოქმედო ღონისძიებები;
- ✓ პროფესიული სტუდენტების/მსმენელების წარმატებული ისტორიები
- ✓ და სხვა

2.9. სიახლე უნდა გამოქვეყნდეს კონკრეტული აქტივობის ჩატარების დღიდან 3 დღის განმავლობაში. დაგეგმილი აქტივობის და ანონსების შემთხვევაში კი სიახლე უნდა გამოქვეყნდეს აღნიშნული აქტივობის განხორციელებამდე შესაბამისი დროით ადრე.

2.10. სიახლეს უნდა ახლდეს ლოგო ან/და ფოტო (საპერსონიფიკაციო), რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება აქცენტირება და მუდმივი კავშირი კოლეჯთან. როდესაც ფოტოს

გადაღებისას მასზე აისახება კონკრეტულ პირი, აუცილებელია აღნიშნული პირის წინასწარი წერილობითი თანხმობა.

2.11. თუკი კოლეჯი კონკრეტულ აქტივობას სხვა დაწესებულებასთან/ორგანიზაციასთან პარტნიორობის ფარგლებში ახორციელებს, ხსენებული აქტივობის შესახებ სიახლის გაზიარება განხორციელდება აღნიშნული დაწესებულების/ორგანიზაციების ვებგვერდების ან/და სოციალური ქსელების მეშვეობითაც. აგრეთვე, ნებისმიერი სიახლე, რომელიც უკავშირდება სწავლებას, დასაქმებას ან ზოგადად დაწესებულებას, შესაძლებელია გაზიარებულ იქნას სხვა დაწესებულებათა/ორგანიზაციათა (განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, მასწავლებელთა სახლი და სხვა) ვებგვერდების ან/და სოციალური ქსელების მეშვეობით.

2.12. სპეციფიკური ენის მქონე სიახლეები უნდა გადამოწმდეს შესაბამის სპეციალისტთან, შეცდომის ან გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით.

2.13. ნებისმიერი ინფორმაციის გასაჯაროებისას გათვალისწინებული უნდა იქნას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

### **მუხლი 3. დასკვნითი დებულებები**

3.1. წინამდებარე წესი მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

3.2. წინამდებარე წესში ცვლილებები და დამატებები შედის კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.